შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბრძანება №1-132

„28“ ----XII---------- 2011 წ.

დაბა შუახევი

გამარტივებული შესყიდვის საშუალებით მომსახურების

შესყიდვის შესახებ

2011 წლის 31 დეკემბერს ქ. ბათუმში ტარდება საახალწლო ღონისძიება, რომელზედაც შუახევის მუნიციპალიტეტიდან დასწრების მსურველთა ტრანსპორტირების ხარჯებს გაიღებს შუახევის მუნიციპალიტეტი, რისთვისაც საჭიროა 6400 (ექვსიათასოთხასი) ლარი.

2011 წლის 29 დეკემბერს, საავადმყოფოს გახსნასთან დაკავშირებული ღონისძიების მოსახურებისათვის საჭიროა 2100 (ორიათასასი) ლარი.

ღონისძიებებამდე დარჩენილი დროის სიმცირის გამო არ ხერხდება ტენდერის ჩატარება, ამიტომ მოზანშეწონილია შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. შესყიდულ იქნას გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ქ. ბათუმში, საახალწლო კონცერტზე შუახევის მუნიციპალიტეტიდან დასწრების მსურველთა ტრანსპორტირების მომსახურება 6400 (ექვსიათასოთხასი) ლარის ღირებულებით.

2. შესყიდულ იქნას გამარტივებული შესყიდვის საშუალებით 2011 წლის 29 დეკემბერს, საავადმყოფოს გახსნასთან დაკავშირებული ღონისძიების მოსახურება 2100 (ორიათასასი) ლარის ღირებულებით.

3. ბრძანების პირველი და მეორე პუნქტებით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსება მოხდეს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული პატრიოტთა ტრანსპორტირების და სპორტული ღონისძიების ხარჯებიდან.

4. დაევალოს შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის შესყიდვების განყოფილებას ბრძანების პირველი და მე-2 პუქტებით გათვალისწინებული შესყიდვის განსახორციელებლად შესაბამისი დოკუმენტაიის მომზადება.

4. ბრძანების გასაჩივრება შეიძლება დაინტერესებული მხარისათვის გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში შემდეგ მისამართზე: ხელვაჩაური, დაბა ხელვაჩაური, დავით აღმაშენებლის ქ. №80.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ---------- იური ქათამაძე

247865145